2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, გარდა პირველი სასწავლო წლის სტუდენტებისა, ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე და ცალკე მიღების მქონე პროგრამიდან საერთო მიღების მქონე პროგრამაზე გადასვლის (შიდა მობილობის) ვადების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობის, ანუ ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე ან ცალკე მიღების მქონე პროგრამიდან საერთო მიღების მქონე პროგრამაზე გადასვლის შესახებ სტუდენტთა (გარდა პირველი სასწავლო წლის სტუდენტებისა) მიერ განცხადებების დაწერის ბოლო ვადა განისაზღვროს 2014 წლის 7 თებერვლის ჩათვლით;

2. შიდა მობილობის შესახებ განცხადებების განხილვისა და შესაბამისი დასკვნების იურიდიული სამსახურისათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2014 წლის 5 მარტი;

3. შიდა მობილობის შედეგების განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2014 წლის 19 მარტი;

4. ფაკულტეტებს დაევალოს, უზრუნველყონ ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის;

5. უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

6. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ფაკულტეტებს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის სამმართველოებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამდივნოს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს, ნინო ჭაჭიას, სტრატეგიული კომუნიკაციის ლაბორატორიას და არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე - ირინა ბაზღაძეს.

რექტორი **გიგი თევზაძე**